

---

გრიგოლ რობაქიძე – ქართველი ემიგრანტი მწერალი  
Grigol Robakidze – Georgian émigré writer

---

**Eka Chkheidze**

ეკა ჩხეიძე

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

**The Phenomenon of the Georgian Spirit in Grigol Robakidze’s Thought**  
**ქართული სულის ფენომენი გრიგოლ რობაქიძის ნააზრევში**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10932>

Until the 1930s, Grigol Robakidze always considered Georgian artistic and philosophical thought in a continuous context with Western civilisation, which largely led to the fact that the Tsisperkantsi people (and not only them) considered him their meter.

While in emigration, Grigol Robakidze delved into the phenomenon of Georgian ethnoculture or ethnopsychology, as evidenced by his essays, publicistic writings, and artistic thought. Emigration became a kind of transformation for Grigol Robakidze – the more perfectly he wrote in German, the greater his interest in the spirituality of his own nation and the more intensively he explored, as he himself called it, the “Urphänomen” of the Georgian nation. Distancing from his homeland gave Grigol Robakidze’s work the same special flavor as it did in the case of Davit Guramishvili – it seems that the main driving force for both thinkers was thinking and reflecting on the fate of the homeland and the mentality of the Georgian nation, its purpose and the duty of a particular person to the country and God.

**Keywords:** Robakidze, “The Origin of Georgia”, emigration, journalism

**საკვანძო სიტყვები:** რობაქიძე, „საქართველოს სათავენი“, ემიგრაცია, პუბლიცისტიკა

მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე ქართულ მხატვრულ თუ ფილოსოფიურ აზროვნებას გრიგოლ რობაქიძე ყოველთვის დასავლურ ცივილიზაციასთან უწყვეტ კონტექსტში განიხილავდა, რამაც დიდ წილად განაპირობა ის გარემოება, რომ მას ცისფერყანწელები (და არა მარტო ისინი) საკუთარ მეტრად თვლიდნენ.

ემიგრაციაში მყოფი გრიგოლ რობაქიძე ქართულ ეთნოკულტურისა თუ ეთნოფსიქოლოგიის ფენომენს განსაკუთრებით ჩაუღრმავდა, რასაც მოწმობს მისი ესეებიც, პუბლიცისტიკაცა და მხატვრული ნააზრევიც. ემიგრაცია გრიგოლ რობაქიძისთვის იქცა ერთგვარ ტრანსფორმაციად - რაც უფრო სრულყოფილად წერდა იგი გერმანულ ენაზე, მით უფრო დიდ ინტერესს ამჟღავნებდა საკუთარი ერის სულიერების მიმართ და მით უფრო ინტენსიურად იკვლევდა, როგორც თავად უწოდებდა, ქართველი ერის „თაურფენომენს“. სამშობლოდან დისტანცირებამ გრიგოლ რობაქიძის შე-

მოქმედებასაც ისეთივე განსაკუთრებული ელფერი შესძინა, როგორც დავით გურამიშვილის შემთხვევაში მოხდა როგორც ჩანს, ორივე მოაზროვნისთვის მთავარ მამომრავებელ ძალად იქცა ფიქრი და რეფლექსია სამშობლოს ბედსა და ქართველი ერის მენტალობაზე, მის დანიშნულებასა და კონკრეტული პიროვნების მოვალეობაზე ქვეყნისა და ღმერთის წინაშე.

გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ერთ ვრცელ ნარკვევს, რომელსაც, ავტორის თქმით, იგი ქართველ ერს ანდერძად უტოვებს. ეს არის „საქართველოს სათავენი“, რომლის დასკვნით ნაწილშიც ახსნილია, თუ რატომ დატოვა გრიგოლ რობაქიძემ საბჭოეთი.

„მთავარი მიზეზი იმისა, თუ რად დავტოვე მე საბჭოეთი: ამ ნარკვევში გატარებული გაგებით, ყოველ კულტურას ბოლო ედება, როგორც კულტურას ქართველების, ისე სხვა ხალხთა, [რადგან] კულტურა „შინაარსით ინტერნაციონალური და ფორმით ნაციონალური“, არის კულტურა ანონიმისა, უსახო, ესე იგი არავითარი კულტურა. გასაგებია, თუ რად გადმოვიტანე ჩემი მუშაობა უცხოეთში“ (რობაქიძე, 2012ა, გვ. 103-104).

მივლინებით საზღვარგარეთ სალიტერატურო საქმეების გამო 1931 წელს წასულმა გრ. რობაქიძემ ვერ აიტანა საქართველოში გაჩაღებული მისი ლანძღვა – ს. ორჯონიკიძე ურაპატიოტად თვლიდა, მემარცხენე პროლეტმწერლები უდიერად მოიხსენიებდნენ, ერთი მათგანი შინაურ ემიგრანტს უწოდებდა, მეორე პროვოკაციულად ეკითხებოდა, რასიზმი როგორ გესმითო და გრ. რობაქიძეც ხაზგასმით პასუხობდა: მხოლოდ როგორც ადამიანთა შორის არსებული ჯიშთა განხვავება, იდეოლოგიური მომენტი ჩემს აზრში საძებარი არაა, სწორად დაიმახსოვრეთო!

ცხადია, ასეთ შემთხვევებს გულისხმობდა გრ. რობაქიძე, როცა აღმოხდებოდა: მოდი და იცხოვრე საქართველოში, ესაა ხელოვნების თვითმკვლევლობაო!

საბჭოთა საქართველოში კი, როგორც გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, გრიგოლ რობაქიძე, განდევნილ მწერლად ითვლებოდა. მის შესახებ ინფორმაცია არც კი ვრცელდებოდა. უფრო მეტიც, საბჭოთა ხელისუფალთა კატეგორიული მოთხოვნით მწერალთა კავშირიდან გარიცხეს.

„გველმა პერანგი გამოიცვალა. გველმა თავისი თავი დატოვა: მოხსნა და გადააგდო. გველი იცვლის პერანგს, მაგრამ არა საკუთარ არსებას – გველი გველად რჩება მაინც, უფრო საშიშ, გაახალგაზრდავებულ გველად მიხაკისფერი ყანწით – ფაშისტური დალით მკერდის შუაგულზე – სვამს გრ. რობაქიძე გერმანული ფაშიზმის, მისი დამპალი კულტურის, რასული იდეოლოგიის სადღეგრძელოს“ (მუშიშვილი, 1934, გვ. 44).

ბ. ბუაჩიძის აზრით, პირველი რომანი „გველის პერანგი! მოკლებული იყო აქტუალურ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. „ლამარაზე ამბობდნენ: მიწასთან დაბრუნების იდეა მისტიციზმამდე მიყვანილიაო. მისტიციზმის დაბრალებას ვინ ჩიოდა, პიესა მთლად წაართვეს – „ლამარას“ დადგმის მაკეტებზე რობაქიძის გვარი წაშალეს და ვაჟა-ფშაველა დააწერეს.

აი, ასეთმა მოპყრობამ გადააწყვეტინა საზღვარგარეთ დარჩენა (კვერენჩილაძე, 2008, გვ. 118).

1954 წელს რობაქიძე ესტუმრა მიუნჰენში რადიოგადაცემა „თავისუფლებას“, საიდანაც მან ქართველ მსმენელს (ახალგაზრდობას, მწერლებსა და საერთოდ თავის თანამემამულეებს). ის ლაპარაკობდა მიზეზებზე, თუ რატომ დატოვა „საბჭოეთის სამოთხე“ და ხაზგასმით აღნიშნავდა სოციალისტური იდეოლოგიის სიმახინჯეს. მწერალს არ შეეძლო, შეჰგუებოდა საკუთარ სამშობლოში გამეფებულ „დემონოკრატას“, სადაც არა სიხარული, არამედ შიში ბატონობს, მაგრამ ნამდვილ სამოთხესთან, საქართველოსთან, შორეული ფესვებითაა მიჯაჭვული.

„რატომ დავტოვე საქართველო, ჩემი მამული და დედული, ეგზომ მშვენიერი და ტკბილი... ბოლშევიკები გაჰყვირიან: „ხალხურ დემოკრატასო“ ვამყარებთო. სიყალბე მათი ამ სახელდებაშიც ჩანს... უფრო მართალი იქნებოდა ეთქვათ: „ვამყარებთ დემონოკრატასო“... ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა იგი თავის-უფალია, თავისუფლებაა სხივური ელემენტი ადამიანში. ვინაა თავისუფალი საბჭოეთში? არავინ! იქ ყველაფერი აკრმა-

ლულია, რაც არაა ბრძანებული. მბრძანებელი? დღეს რომ ერთი მბრძანებლობს, ხვალ იგი დასახვრეტად მიჰყავთ. ბერიას ხვედრი საბჭოეთში გამონაკლისი არაა. იქ იგი ყოველდღიური მოვლენაა. დამხვრეტთ გუშინდელი მბრძანებლისა შიშის ქარი ურბნეთ სახსრებში; ფიქრობენ მათაც არ ხვდეთ ეს ბედი. ესაა დემოკრატია?.. საბჭოეთში კაცს შიშის გამო მოსვენებით ვერც კი დაუძინია. ეშინია: სიზმარში ბოდვით არ წამოსცდეს გულნადები აზრი რაიმე. ასეთია საბჭოეთის სამოთხე. ეს სამოთხე მივატოვე და არა ნამდვილი სამოთხე - შეუდარებელი სამშობლო ჩვენი“ (რობაქიძე, 2012გ, გვ. 387-388).

ძალზე საყურადღებოა ნიკოლო მიწიშვილის წერილის „ფიქრები საქართველოზე“ საპასუხოდ დაწერილი „საქართველოს ხერხემალი“. მიწიშვილი წერდა, რომ „იქნება საქართველო გამართლოს ჯვარმა, რომლისთვისაც საქართველო იგლიჯებოდა ყოველი მხრიდან. მაგრამ ჯვარისაგან ხომ კურთხევა უნდა გამოდიოდეს, და სადაა ეს კურთხევა? ნუთუ ჩვენი აწიოკებული ისტორია კურთხევაა? ნუთუ ორიათასი წლის განმავლობაში ამ ჯვრის ძალამ ვერ შვა მოვლენა, რომელიც გამოარკვევდა საქართველოს, როგორც მოწოდებას, საკუთარის აზრითა და დანიშნულებით? ნუთუ საბოლოოდ და სამუდამოდ მოკლებულია საქართველო იმ „ნათლის სვეტს“, რომელიც წინ მიუძღვის ყოველ ხალხს ახალი სიტყვისა და შემოქმედებისაკენ?!“

და ბოლოს ასკვნის: „საქართველო პასიური მოვლენაა. მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა მის გარეშე მყოფ მოვლენისაგან (ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ“ (რობაქიძე, 2012ბ, გვ. 634).

გრიგოლ რობაქიძე ნიკოლო მიწიშვილის ამგვარ სულისკვეთებას თვითმკვლევლობას უწოდებს და დასძენს: „არ არის საჭირო არც გაჯავრება და არც აღშფოთება, როცა ასეთ სიტყვებს კითხულობ. არც ის უნდა იფიქრო, რომ ავტორი ბოროტი აზრით არის „ატროვებული“. აქ უფრო „ტკივილია“ ვიდრე „აზრი“. ეს სულის კრიზისია და ასეთი კრიზისი ბევრს განუცდია“ (რობაქიძე, 2012ბ, გვ. 634).

აკაკი ბაქრაძე თავის უკანასკნელ წიგნში „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მე-20 საუკუნის დასაწყისში გამართულ კამათს ეროვნული ხასიათის შესახებ (იგულისხმება გრიგოლ რობაქიძის „საქართველოს ხერხემალი“ და უფრო მოგვიანებით დაწერილი მის ნარკვევი „საქართველოს სათავენი“).

„ნიკოლო მიწიშვილის „ფიქრებში“ სასოწარკვეთილების ისეთივე ტკივილი და ყვირილი იყო, როგორც ილიას „ბედნიერ ერში“ და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ (თუმცა ოციან წლებში ვინ დაიჯერებდა, რომ მწარედ ახდებოდა მიხეილ ჯავახიშვილის წინასწარმეტყველება – საქართველო თეიმურაზ ხევისთავად გადაიქცეოდა). ოღონდ ილია ქართული სამყაროს უფსკრულს პოეზიის, მიხეილ ჯავახიშვილი - პროზის და ნიკოლო მიწიშვილი – პუბლიცისტიკის ენით ამხელს. არც მარტო ყოფილა პოეტი. იმავე სევდით და გულისტკივილით იყვნენ მაშინ შეპყრობილი სერგი დანელიაც და კონსტანტინე კაპანელიც“ (ბაქრაძე, 1999, გვ. 73).

რობაქიძის პუბლიცისტიკა ისევე, როგორც მთელი მისი შემოქმედება, ცხადყოფს, რომ იგი სამშობლოს ბედზე ღრმად დაფიქრებული პოეტი და მამულიშვილია. მის წერილებში წარმოჩენილ საკითხთა შორის მთავარი და არსებითი მაინც საქართველოს დამოუკიდებლობის პრობლემაა.

ნახევარი საუკუნის მანძილზე გრ. რობაქიძის სახელი ძირფესვიანად იყო ამოგლეჯილი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიიდან. ბიბლიოთეკებში არ იყო არათუ რობაქიძის წიგნები, არ იყო ჟურნალ-გაზეთების ის ნომრებიც კი, სადაც მისი რაიმე ნაწარმოები იყო დაბეჭდილი. ის გამოცემებიც კი ამოეღოთ, სადაც მისი გვარი თუნდაც ჩამონათვალში იყო ნახსენები. თუ სადმე შემთხვევით და სპეციალური ნებართვით ესა თუ ის ძველი ჟურნალი ხელში ჩაგივარდებოდათ, რობაქიძის გვარი საგულდაგულოდ იყო გადაშლილი (რობაქიძე, 2012ა, გვ. 7).

დიდი დრო გავიდა გრ. რობაქიძის გარდაცვალებიდან, მაგრამ მისი წერილები და ნააზრევი დღესაც აქტუალური და, შეიძლება ითქვას, წინასწარმეტყველურია. მწერლის მსჯელობა და დასკვნები მიესადაგება ჩვენს დღევანდელობას. უკრაინა-რუსეთის ურთიერთობის საკითხს განიხილავს

რობაქიმე სტატიაში „სოციალისტური იმპერიალისტები“. იგი შემფოთებულია იმ ფაქტით, რომ „ბოლშევიკები უკრაინას გასრესას უპირებენ“. გაცემულ მკითხველისათვის, რომელსაც რუსეთის ერთა განმათავისუფლებელი ჰგონია, მას მტკიცე პასუხი აქვს: „ბოლშევიკები მოდიან სოციალისტურ იმპერიალისტებად - ეს გამოთქმა ბევრს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ სწორედ ამას მოქცეული ბოლშევიკების სულისკვეთება.

მდგომარეობას განსაკუთრებით ართულებს ის, რომ რუსეთი მზად არაა არც სოციალური და არც ეკონომიური გარდაქმნისათვის. რობაქიმე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთის სახელმწიფო იშლება, მასში შემავალ ერებს დამოუკიდებლობის მოპოვება სურთ: „არც ერთი ერი არ აპირებს ბოლშევიკური სოციალიზმის განხორციელებას, აი სად მარხია ძაღლის თავი – ბოლშევიკები ომს უცხადებენ ყოველ ხალხს, რომლებიც ბოლშევიკებს არ მიჰყვება“ (რობაქიმე, 1917, გვ. N 273).

უკრაინისთვის ომის გამოცხადებაც ამის დასტურია, მაგრამ პუბლიცისტი იმედოვნებს, რომ ბოლშევიკები ვერ გაიმარჯვებენ რუსეთში შემავალ ერებზე. სამწუხაროდ, რუსეთი დღესაც ბოლშევიკური სულისკვეთებით აგრძელებს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში თავისი ძალაუფლების გავრცელებას და არ თმობს იმ ტერიტორიებს, მეფის რუსეთისგან მემკვიდრეობით რომ მიიღო (გაგნიძე, 2021, გვ. 206).

დღესაც აქტუალურად ჟღერს ეროვნულ თვითმემცნებაზე თითქმის ასი წლის წინანდელი მსჯელობა „...ჩვენ გვიყვარს სემიტური გამორჩევა, მაგრამ ჩვენ არიული „გამორჩევა“ გვიყვარს. „ლადაგადასმულობის“ დასაწყისს ჩვენს ბუნებაში ეომება პრიციპი „აზნაურობის“. ჩვენ ხშირად გვძლევს ხოლმე წვრილმანობა: მაგრამ ხშირადვე გვაჯადოვებს რაინდულ „ხმალში გამოწვევა“. ჩვენ „მეწვრილმანენიცა“ ვართ და „რაინდებიც“, უცნაურია საქართველო: ქართლში „ლაქიაც“ ზის და „მეფეც“. მასში „ჟულიკიც“ არის და „არისტოკრატიც“. ქართველი თავის თავს ატყუებს, რომ სხვა მოატყოს: ქართველნი თვალთმაქცები არიან... საქართველოს გაქანება საქანელაა და ქართველი ქანაობს კიდევ...“

საქართველო ქანაობს საქანელაზე: მაგრამ საქანელა უფსკრულზეა გამართული და ადვილი შესაძლოა საქანელა სახრჩობელად გადაიქცეს... საქართველო ქანაობს უდარდელი, მაგრამ სახრჩობელას ჩვენება სტანჯავს მას. ან თავის თავი მონახვა უკანასკნელი: ან სრული დაღუპვა თავის თავისა. გზა ხსნილი არ არის სხვა. ხანდახან აქ სახრჩობელა სისხლიან ჯვარად იქცევა. ჯვარი უფრო ძნელია, ვიდრე სახრჩობელა: მაგრამ ჯვარცმაში კათარისია ნათელი და ჩამოხრჩობაში კი უკანასკნელი დაღუპვა...“ (რობაქიმე, 2012ბ, გვ. 450-451).

მრავალი წელი გავა და გრიგოლ რობაქიმის შემოქმედება კიდევ არაერთხელ გახდება სამეცნიერო კვლევის საგანი. იგი მუდამ დარჩება საბჭოთა ტოტალიტარიზმის მამხილებლად და ქართული გენისა და ჯიშის აპოლოგეტად. შემაშფოთებელი და განსაცვიფრებელია მისი წამოჭრილი პრობლემების სიმწვავე და თანადროულობა 21-ე საუკუნეში. საჭიროა პერიოდულად დაუბრუნდეს ჩვენი საზოგადოება დიდი ქართველი მოაზროვნის ნაწერებს და აღმოაჩინოს მისთვის მტკივნეული და მწვავე პრობლემების განხილვისა თუ გადაჭრის გზები.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ბაქრაძე, ა. (1999). *კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიმის ცხოვრება და ღვაწლი*. თბილისი: „ლომისი“.
- კვერენჩხილაძე, რ. (2008). *XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება*. თბილისი: „უნივერსალი“.
- მუშიშვილი, გ. (1934). *გველის პერანგოსანი*. თბილისი.
- რობაქიმე, გ. (2012ა). *პოეზია, პროზა, ნაწერები, წიგნი I*. თბილისი: „ლიტერატურის მუზეუმი“.
- რობაქიმე, გ. (2012ბ). *პუბლიცისტიკა, წიგნი III*. თბილისი: „ლიტერატურის მუზეუმი“.
- რობაქიმე, გ. (2012გ). *ნაწერები, წიგნი V*. თბილისი: „ლიტერატურის მუზეუმი“.

### References:

- Bakradze, A. (1999). K'ardu anu Grigol Robakidzis Tskhovreba da Ghvats'li. [The Life and Work of Cardu or Grigol Robakidze]. Tbilisi: „Lomisi“.
- K'erenchkhiladze, R. (2008). XX Sauk'unis Sakartvelos Lit'erat'uruli Tskhovreba. [Literary Life of 20th Century Georgia]. Tbilisi: „Universali“.
- Mushishvili, G. (1934). Gvelis P'erangosani. [The Serpent's Shirt]. Tbilisi.
- Robakidze, G. (2012a). O'oezia, P'roza, Nats'erebi, Ts'igni I. [Poetry, Prose, Writings, Book I]. Tbilisi: „Lit'erat'uruli Muzeumi“.
- Robakidze, G. (2012b). P'ublitsist'ik'a, Ts'igni III. [Journalism, Book III]. Tbilisi: „Lit'erat'uruli Muzeumi“.
- Robakidze, G. (2012g). Nats'erebi, Ts'igni V. [Writings, Book V]. Tbilisi: „Lit'erat'uruli Muzeumi“.